MES 4 23 0001519224

09/11/2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს წევრი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი, საბჭოს სხდომის მდივანი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2.სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნათია კვირიკაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მთავარი სპეციალისტი;
ნია გრიგალაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის უფროსი სპეციალისტი;
მარი მგელაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მთავარი სპეციალისტი;
თეა ლილუაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მთავარი სპეციალისტი;
თამარ რატიანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
თამარ ფიფია- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
რუსუდან ზვიადაური - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის უფროსი სპეციალისტი.

3.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:
სსიპ - ქ. თბილისის N181 საჯარო სკოლა
მზია გიორგობიანი- დირექტორი
სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძიმითის საჯარო სკოლა
მალხაზ სამსონია - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
სსიპ-თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ გოლთეთის საჯარო სკოლა
შორენა ქურასბედიანი - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბენარის საჯარო სკოლა
ნინო ფორჩხიძე - დირექტორი
სსიპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის საჯარო სკოლა
ნუგზარ კვანტალიანი - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

4.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტ ები):
სსიპ - ქ. თბილისის N 181 საჯარო სკოლა
ელისო ლოლაშვილი - მერებაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
მაია ბერიანიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
მზევინარ დარბაისელი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მარინე ხუციშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
სოფიკო მჭედლიშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინო გულმაგარაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თამარი მურუსიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნათია გაგნიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინო ვაშალომიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნატო შაინიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მიხეილ გაფრინდაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძიმითის საჯარო სკოლა
ლიკა გიორგაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ნატო ჯაში - შაინიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
ნინო ბურჯალიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ეკატერინე გავაშელიშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თეონა ჯაფარიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინელი ცერცვაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მიხეილ გაფრინდაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მაკა ინაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ-თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ გოლთეთის საჯარო სკოლა

ქეთევან ბოტკოველი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ნინო თაბაგარი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
ელისო შურღაია (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ირმა ქაფიანიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ინგა გელაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლია ციცქიშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თეა ხუროშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლელა გაბისონია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ჯულიეტა ტაბეშაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მარინა ანესაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინო ჭიჭინაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბენარის საჯარო სკოლა

მარიამ ჭყონია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
მირანდა იაკობიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
მაია მაძღარაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ელენე ხუსკივაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნატო შაინიძე(ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თეა ხუროშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
სოფიო ხვადაგიანი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
შაქრო ჟღენტი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
გიორგი კოპლატაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

სსიპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის საჯარო სკოლა

ხათუნა ფაილაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
მარიამ მატიაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
ირმა შალიკიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ირინე ჯანაშია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
სოფიო მურუსიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნანა კასრაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მზია დადვანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნონა გამხიტაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინო კოვზიაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მაკა გიორგბერიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვლადიმერ უშიკიშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა ჩატარდა 2023 წლის 27 ოქტომბერს ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით

დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა, საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე -7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:
1. სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძიმითის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ქ. თბილისის N 181 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ-თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ გოლთეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბენარის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5.სსიპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
ცენტრის წარმომადგენელმა, თეა ლილუაშვილმა საბჭოს მიმართა შუამდგომლობით სსიპ - ქ. თბილისის N 181 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვის პირველ საკითხად გადატანასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის საჭიროებების გათვალისწინებით. საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა და საბჭოს დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. სსიპ - ქ. თბილისის N 181 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძიმითის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ-თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ გოლთეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბენარის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5.სსიპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

1. სსიპ - ქ. თბილისის N 181 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ

არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნადაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ელისო ლოლაშვილ- მერებაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის N 181 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 21 და 22 სექტმბერს. სკოლა მდებარეობდა ქ. თბილისში, მუხიანის მე-4 ბ მ/რ.-ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 1600 მოსწავლე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სტანდარტი 1 (სკოლის ფილოსოფია), სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი) და სტანდარტი 4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. სტანდარტი 3 (სასწავლო რესურსის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტმა აღნიშნა, რომ კომპონენტები 3.1 და 3.4 მეტწილად შესაბამისი იყო სტანდარტის მოთხოვნებთან.

ექსპერტმა, ელისო ლოლაშვილ - მერებაშვილმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა ზვიად გოგუაძემ ყურადღება გაამახვილა სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებზე და აღნიშნა, რომ რიგ შემთხვევებში კურიკულუმები არ იყო სრულყოფილად წარმოდგენილი. საბჭოს წევრმა საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტს სთხოვა აღნიშნულთან დაკავშირებით გაეზიარებინა საკუთარი მოსაზრება. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ნინო გულმაგარაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლის მხრიდან თავდაპირველ ეტაპზე წარმოდგენილი კურიკულუმები იყო არასრული. ექსპერტის მოთხოვნის შემდეგ სკოლამ გადმოაგზავნა დასრულებული კურიკულუმი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრების შემდეგ, მან გასცა გარკვეული რეკომენდაციები, რომელთა შესრულებასთან დაკავშირებითაც მასწავლებლების მხრიდან იყო მაღალი მზაობა. საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ აღნიშნა, რომ იზიარებდა საბჭოს წევრის ზვიად გოგუაძის პოზიციას და სკოლას მისცა რჩევა აღნიშნული კურიკულუმების გადახედვასა და დახვეწასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა შალვა მეკრავიშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტების მხრიდან საბოლოო დასკვნაში ფიქსირდებოდა რჩევები შეფასების სისტემასთან დაკავშირებით და სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, თუ გაითვალისწინეს აღნიშნული რჩევები და რა ღონისძიებები ჰქონდა სკოლას გატარებული მოცემული დროისთვის. სკოლის დირექტორმა მზია გიორგობიანმა აღნიშნა, რომ სკოლაში არსებობდა შეფასების რუბრიკები, რომლებიც საჭიროებდა გადახედვას და დახვეწას. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლის მასწავლებლები მუშაობდნენ ამ საკითხზე და ითვალისწინებდნენ ექსპერტების რჩევებს.

საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის N 181 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1600-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის N 181 საჯარო სკოლას (ს/კ : 209471374) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1600 - ით.
დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	თბილისი, მუხიანი მე- 4 ბ მ/რ
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	თბილისი, მუხიანი მე- 4 ბ მ/რ
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	თბილისი, მუხიანი მე- 4 ბ მ/რ

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის ოქტომბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი- დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური)

საბჭომ 3.1 და 3.4 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ოქტომბრამდე, ცენტრში

აღნიშნული კომპონენტების შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტების გადმოგზავნით. კერძოდ: თანამშრომელთა ნასამართლეობის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების პირად საქმეებში განთავსება, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმის დასაქმების დამადასტურებელი დოკუმენტი, შენობის უსაფრთხოების შესახებ შესაბამისი დასკვნა.

2. სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძიმითის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ განაცხადა, რომ ის ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, რადგან აღნიშნულ სკოლასთან ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
16:27 წთზე საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა დატოვა საბჭოს სხდომა.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლიკა გიორგაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძიმითის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 24 და 25 აგვისტოს. სკოლა მდებარეობდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ძიმითში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა ორი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი შენობა. სკოლის მთავარი შენობა იყო ახალი გარემონტებული და აღჭურვილი ყველა საჭირო მატერიალური და ტექნიკური რესურსი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მთავარ შენობაში სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ხოლო მეორე- დამატებით ფართში, რომელიც ასევე იმყოფებოდა სკოლის მფლობელობაში, სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას. ექსპერტის განცხადებით სკოლას ჰყავდა კლას- კომპლექტები. სკოლაში სწავლა მიმდინარეობდა ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 300 მოსწავლე.
ექსპერტმა განაცხადა, რომ სტანდარტი 1 (სკოლის ფილოსოფია) და სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. სტანდარტი 4. (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ხოლო სტანდარტი 3 (სასწავლო რესურსის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტმა აღნიშნა, რომ კომპონენტები 1.2, 3.1, 3.2, 3.4, 3.5, 3.6 და 4.1 მეტწილად შესაბამისი იყო სტანდარტის მოთხოვნებთან.
ექსპერტმა, ლიკა გიორგაძემ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის

შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ სკოლის წარმომადგენელს სთხოვა გაეზიარებინა საკუთარი მოსაზრება, რატომ მოხდა, რომ მესამე სტანდარტის კომპონენტების უმრავლესობა შეფასდა, როგორც მეტწილი და ექსპერტების მხრიდან ამ სტანდარტში სკოლას მიეცა არაერთი რეკომენდაცია. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა მალხაზ სამსონიამ აღნიშნა, რომ მოცემული დროისთვის სკოლას გაგზავნილი ჰქონდა წერილი სსიპ- ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, საიდანაც სკოლაში ვიზიტზე უკვე იმყოფებოდა შესაბამისი პირი. პირველადი დათვალიერების შემდეგ მოხდა მეორე ვიზიტის დანიშვნა და ამის შემდეგ სკოლა ელოდებოდა დასკვნას, შენობის მდგრადობის შესახებ.
საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დასკვნაში ყურადღება გამახვილებული იყო ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიც იყო ექიმის კაბინეტის მოწყობის აუცილებლობა და ვიდეო კამერების დამონტაჟება. საბჭოს თავმჯდომარემ სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, თუ არსებობდა რეკომენდაციებს შორის ისეთი საკითხი, რომლის გადაწყვეტაც კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა მალხაზ სამსონიამ განაცხადა, რომ აღნიშნული რეკომენდაციები გაცემული და ხარვეზები დაფიქსირებული იყო დაკავშირებული იყო სკოლის მფლობელობაში შემავალ მეორე ფართზე, რომელიც იყო ახალი აშენებული. მალხაზ სამსონიამ აღნიშნა, რომ მოცემული დროისთვის სკოლას არ ჰყავდა ექიმი. თუმცა, დირექტორი იზიარებდა იმ მოსაზრებას, რომ სკოლის მეორე შენობაშიც აუცილებელი იყო ექიმის დასაქმება.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, მოხდა თუ არა სკოლის მასწავლებლებთან შეხვედრა და დასკვნის საფუძველზე სწავლა-სწავლების პროცესებთან დაკავშირებული საკითხების გავლა. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა მალხაზ სამსონიამ აღნიშნა, რომ მოცემული დროისთვის სკოლაში უკვე განხორციელებული იყო კათედრების პირველი შეხვედრა, სადაც მოხდა აღნიშნული პრობლემების განხილვა.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძიმითის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძიმითის საჯარო სკოლას (ს/კ : 237102087) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300 - ით.

დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ძიმითი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ძიმითი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ძიმითი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის ოქტომბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: დოკუმენტების ცენტრში წარმოდგენით;
მონიტორინგის ფარგლები: 1.2, 3.1, 3.2, 3.4, 3.5, 3.6 და 4.1 კომპონენტები

3. სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ გოლთეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
16:48 საათზე განხილვას შემოუერთდა საბჭოს წევრი ეკატერინე კვირიკაშვილი, 17:20 საათზე სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა პეტრე ბაბილუამ.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ-თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ გოლთეთის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 22 და 23 აგვისტოს. სკოლა მდებარეობდა თეთრიწყაროს

მუნიციპალიტეტში, სოფელ გოლთეთში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 220 მოსწავლე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სტანდარტი 1 (სკოლის ფილოსოფია) და სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი), სტანდარტი 3 (სასწავლო რესურსის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და სტანდარტი 4. (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს". ექსპერტის განცხადებით კომპონენტები 3.4 და 3.5 მეტწილად შეესაბამებოდა სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრი მაკა მამფორია დაინტერესდა სკოლაში განთავსებული საშხაპეებით და ექსპერტს მიმართა კითხვით, რამდენად ხდებოდა აღნიშნული საშხაპეებით სარგებლობა. ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ საშხაპეები იყო ძალიან მოწესრიგებული და ვიზიტის დროს სკოლის წარმომადგენლისგან მიღებული ინფორმაციით აღნიშნული საშხაპეებით სარგებლობა ხდებოდა.

საბჭოს წევრმა მაკა მამფორიამ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივ ექსპერტს მიმართა კითხვით, როგორ მუშაობდნენ პედაგოგები ლაბორატორიის ფუნქციონირებისთვის საჭირო რესურსების სიმცირის პირობებში და რა ჰქონდა სკოლას დაგეგმილი აღნიშნული საკითხის მოგვარებასთან დაკავშირებით. ექსპერტმა ელისო შურღაიამ აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა ლაბორატორია, თუმცა ძალიან მწირი რესურსების გამო აღნიშნულ ლაბორატორიებში საგაკვეთილო პროცესების აქტიურად განხორციელება ვერ ხერხდებოდა. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა შორენა ქურასბედიანმა აღნიშნა, რომ ლაბორატორიის სრულყოფილად აღჭურვის მიზნით სკოლას უკვე გაგზავნილი ჰქონდა წერილი შესაბამის სამსახურთან. აღნიშნული წერილის დაკმაყოფილებამდე, საგაკვეთილო პროცესების სრულყოფილად წარმართვის მიზნით, სკოლა საკუთარი რესურსებით გეგმავდა ლაბორატორიისთვის საჭირო მასალების შეძენას.

საბჭოს წევრი შალვა მეკრავიშვილი დაინტერესდა თითოეულ კლასში მოსწავლეთა საშუალო რაოდენობით. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა შორენა ქურასბედიანმა აღნიშნა, რომ სკოლაში იყო მხოლოდ ერთი კლასი, სადაც ერთი მოსწავლე ირიცხებოდა, დანარჩენ კლასებში მოსწავლეების რაოდენობა 3-დან 8- მდე მერყეობდა. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლაში საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა რაოდენობა ყველაზე ნაკლები იყო.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით, როგორ ხდებოდა საშუალო საფეხურზე პროექტული სწავლების განხორციელება ასეთი მცირე რაოდენობის მოსწავლეების შემთხვევაში. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ გასულ წელს მეათე კლასის მოსწავლეებისთვის, როგორც ხელოვნების, ისე სამოქალაქო განათლების მიმართულებით განხორციელდა არაერთი გასვლითი და შიდა პროექტი. საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტმა ირმა ქაფიანიძემ აღნიშნა, რომ კურიკულუმებთან დაკავშირებით ექსპერტის მხრიდან მოხდა გარკვეული რეკომენდაციების გაცემა, რის შემდეგაც სკოლამ წარმოადგინა დამატებითი დოკუმენტაცია. ექსპერტის განცხადებით სკოლის მხრიდან წარმოდგენილი მასალა არ იყო სრულყოფილი, თუმცა მასწავლებელთა მხრიდან იყო მაღალი მზაობა იმისა, რომ სასწავლო პროცესების დაწყებამდე მოეხდინათ ექსპერტთა მიერაცემული ყველა რეკომენდაციის გათვალისწინება.

საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ-თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ გოლთეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 220-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ-თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ გოლთეთის საჯარო სკოლას (ს/კ : 230866998) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 220 - ით.
დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი
ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი გოლთეთი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი გოლთეთი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი გოლთეთი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის ოქტომბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური))

საბჭომ 3.4 და 3.5 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ოქტომბრამდე, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, შესაბამისი აკრედიტებული ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობა-ნაგებობების მდგრადობის შესახებ, დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვის მტკიცებულება.

4. სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბენარის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მარიამ ჭყონიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბენარის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 11 და 12 სექტემბერს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა საგანამნაათლებლო პროგრამებს ახორციელებდა ორ მისამართზე. ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ შოლავერში სკოლა ახორციელებდა დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანამანათლებლო პროგრამას, ხოლო ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბენარაში სკოლა ახორციელებდა დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს. სკოლაში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდებოდა ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 175 მოსწავლე.
ექსპერტმა განაცხადა, რომ სტანდარტი 1 (სკოლის ფილოსოფია), სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი) და სტანდარტი 4. (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ხოლო სტანდარტი 3 (სასწავლო რესურსის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტმა აღნიშნა, რომ კომპონენტები 3.1 და3.4 მეტწილად შესაბამისი იყო სტანდარტის მოთხოვნებთან.
ექსპერტმა, მარიამ ჭყონიამ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ ორივე მისამართლზე შენობები სრულად რეაბილიტირებული იყო მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ. ექსპერტის განცხადებით სკოლა ადაპტირებული და აღჭურვილი იყო საჭირო ინვენტარით.

ექსპერტმა მარიამ ჭყონიამ სკოლის საუკეთესო პრაქტიკის ფარგლებში აღნიშნა, რომ სკოლა მხარს უჭერდა მოსწავლეთა ინიციატივებს. სკოლის ფოიეში განთავსებული იყო ყუთი, სადაც თავს იყრიდა მოსწავლეთა ინტერესები და მოსაზრებები, რომელზე დაყრდნობითაც ხდებოდა სკოლაში სხვადასხვა სახის გადაწყვეტილებების მიღება. ექსპერტის განცხადებით სკოლაში ყურადღება ეთმებოდა პროფესიული ორინეტაციის საკითხს. სკოლას ერთ-ერთ კოლეჯთან გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები ეუფლებოდნენ სხვადასხვა პროფესიებს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა არაფორმალური განათლება. ამ კუთხით სკოლაში ხორციელდებოდა სხვადასხვა პროექტები და აქტივობები. ექსპერტის განცხადებით სსიპ- ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბენარის საჯარო სკოლა ეკოსკოლების პროგრამაში პირველი ადგილი მოიპოვა და მწვანე დროშის მფლობელი გახდა.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრი ქეთევან ნატროშვილი დაინტერესდა სკოლაში არსებული ლაბორატორიით და სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით, რამდენად აქტიურად ხდებოდა აღნიშნული ლაბორატორიით სარგებლობა საგაკვეთილო პროცესების წარმართვის დროს. სკოლის დირექტორმა ნინო ფორჩხიძემ აღნიშნა, რომ სკოლა იყო ახალი გარემონტებული, შესაბამისად სკოლაში გამოყოფილი იყო ცალკე სივრცე ლაბორატორიისთვის, თუმცა, ლაბორატორია არ იყო სრულყოფილად აღჭურვილი შესაბამისი რესურსებით.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბენარის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 175-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბენარის საჯარო სკოლას (ს/კ : 222728010) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 175- ით.

დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1		დაწყებითი	ქართული	

	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბენარა, სოფელი შოლავერი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბენარა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბენარა

საბჭომ 3.1 და 3.4 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ოქტომბრამდე, კერძოდ, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის №463 დადგენილების მე-3 მუხლით გათვალისწინებული ნასამართლეობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებაზე დასკვნა (ორივე შენობისთვის).

5. სსიპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ხათუნა ფაილაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 24 და 25 აგვისტოს. სკოლა მდებარეობდა სამტრედიის მუნიციპალიტეტში, დაბა კულაში, რესპუბლიკის ქ. N6-ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 150 მოსწავლე.
ექსპერტმა განაცხადა, რომ სტანდარტი 1 (სკოლის ფილოსოფია) შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“; სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი) შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“; სტანდარტი 3 (სასწავლო რესურსის

ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“' ხოლო სტანდარტი 4. (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,მეტწილად სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტმა აღნიშნა, რომ 1.1, 1.2, 2.2, 3.1, 3.2, 3.3, 3.4, 3.5, 3.6 და 4.1 კომპონენტები მეტწილად შესაბამისი იყო სტანდარტის მოთხოვნებთან.

ექსპერტმა, ხათუნა ფაილაძემ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭს წევრი ეკატერინე კვირიკაშილი დაინტერესდა, არსებობდა თუ არა სკოლაში მოსწავლის ადაპტაციის მექანიზმი. ექსპერტმა ხათუნა ფაილაძემ აღნიშნა, რომ სკოლას ადაპტაციის მექანიზმი გაწერილი არ ჰქონდა. ეკატერინე კვირიკაშვილმა ექსპერტს მიმართა კითხვით, ექსპერტების მხრიდან ხომ არ მოხდა ინკლუზიური გარემოს მონიტორინგის ანგარიშის შემოწმება, სადაც შესაძლებელი იყო ექსპერტებს ენახათ სსსმ მოსწავლეების ადაპტაციის მექანიზმი. ესპერტმა აღნიშნა, რომ აღნიშნული მონიტორინგის ანგარიში ექსპეტების მხრიდან შესწავლილი იყო, თუმცა სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციის მექანიზმზე საუბარი არც ამ ანგარიშში იყო.

საბჭოს წევრმა მორის დანდურიშვილმა ყურადღება გაამახვილა სკოლაში ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში მოცემულ რეკომენდაციებზე და დაინტერესდა რა ნაბიჯებს დგამდა სკოლა ამ კუთხით და ხდებოდა თუ არა დაკვნაში დაფიქსირებულირეკომენდაციების გათვალისწინება ბიუჯეტის დაგეგმვის დროს. ექსპერტმა ხათუნა ფაილაძემ აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა გარკვეული შეზღუდვები ბიუჯეტში, თუმცა ბოლოს წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანდა, რომ სკოლას ბიუჯეტში დაგეგმილი ჰქონდა მოცემული დასკვნის საფუძველზე რეკომენდაციების შესრლებისთვის საჭირო ღონისძიებების გატარება.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებით და ექსპერტებს მიმართა კითხვით, რამდენად იყო აღნიშნული დოკუმენტაცია სრულყოფილი და დამაკმაყოფილებელი. მათემატიკის საგნობრივმა ექსპერტმა მზია დადვანმა აღნიშნა, რომ თავდაპირველად სკოლის მხრიდან წარმოდგენილი კურიკულუმები არ იყო სრულყოფილი და დამაკმაყოფილებელი, თუმცა ექსპერტების მხრიდან გაცემული რეკომენდაციების შემდეგ სკოლამ წარმოადგინა შესწორებული დოკუმენტაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 150-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის საჯარო სკოლას (ს/კ : 238762825) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150 - ით.

დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	სამტრედიის მუნიციპალიტეტი, დაბა კულაში, რესპუბლიკის ქ. N6
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	სამტრედიის მუნიციპალიტეტი, დაბა კულაში, რესპუბლიკის ქ. N6
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	სამტრედიის მუნიციპალიტეტი, დაბა კულაში, რესპუბლიკის ქ. N6

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის ოქტომბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: სტანდარტი 1 (სკოლის ფილოსოფია), სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური), სტანდარტი 3 (სასწავლო რესურსის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა), სტანდარტი 4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა).

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, საბჭოს სხდომა დასრულებულად გამოცხადდა 18:20 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით





სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა